



მოხსენება

საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესრულების მიმდინარეობის შესახებ
მთავრობის ანგარიშზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

შინაარსი

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები	3
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	4
1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები.....	6
2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და არაფინანსური აქტივების კლება.....	7
3. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები.....	11
3.1. საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება	13
3.2. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები.....	15
4. სახელმწიფო და მთავრობის ვალი	17
4.1. საგარეო წყაროებიდან მიღებული კრედიტები	19
4.2. საშინაო წყაროებიდან მობილიზებული საკრედიტო რესურსი	20
4.3. მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები	20
დანართი 1. ბიუჯეტის დაგეგმვა და დაზუსტება - მაგალითები.....	22
დანართი 2. დაბალი ათვისების მქონე პროგრამები - მაგალითები.....	23
დანართი 3. კაპიტალური პროექტების ათვისების მდგომარეობა - მაგალითები	26

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლები	მოხსენება მომზადებულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 136-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად.
მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები	მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) საქართველოს მთავრობის მოხსენება „2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“; ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე სახელმწიფო ხაზინის მიერ მომზადებული ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშები; გ) მხარჯავი დაწესებულებების (სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვ.) მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები; დ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები; ე) სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია.
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა	სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა. ანგარიშის საფუძვლად გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი არიან საქართველოს მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა	მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის საქართველოს მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.
ზოგადი შეფასება	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში მოცემული მნიშვნელოვანი საკითხების გარდა, „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მთავრობის ანგარიში მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

შემაჯამებელი მიმოხილვა

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით როგორც შემოსულობები ასევე გადასახდელები 21.9 მლრდ ლარის ოდენობით განისაზღვრა. ოქტომბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით, შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 22.2 მლრდ ლარამდე (1.2%-ით), გადასახდელების კი 22.3 მლრდ ლარამდე (2.0%-ით) გაიზარდა.

8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულმა შემოსულობებმა 14.6 მლრდ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 66.0%-ია. ამ პერიოდში მიღებული საგადასახადო შემოსავლების მობილიზების მაჩვენებელი ძირითადად წინა ორი წლის ანალოგიურია. გრანტების სახით მიღებული შემოსავლების 8 თვის ფაქტობრივი მაჩვენებელი წლიური გეგმის 70.9%-ია, ხოლო სხვა შემოსავლების - 85.4%. სხვა შემოსავლების კუთხით საყურადღებოა „პროცენტის“ მუხლი, რომლის შესრულება წლიური გეგმის 83.1%-ია და მობილიზების ტენდენციის გათვალისწინებით მოსალოდნელია გეგმურ მაჩვენებელზე გადაჭარბებით შესრულება.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმიდან ჩამორჩენით ხასიათდება არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობები. 9 თვის ოპერატიული ინფორმაციით ამ კომპონენტში მობილიზებულია 102.7 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 51.4%-ია.

რაც შეეხება ბიუჯეტის გადასახდელებს, 8 თვის ათვისების მაჩვენებელი წლიური გეგმის 61.9%-ს (13.8 მლრდ ლარს) შეადგენს. აღსანიშნავია, რომ გასულ წლებთან შედარებით, მიმდინარე წელს გადასახდელების თანაბარზომიერი ათვისების ტენდენცია გაუმჯობესებულია, რაც ძირითადად განაპირობა „ხარჯების“ მუხლის დინამიკამ. თუმცა არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლების შემთხვევაში გრძელდება გასული წლების ტენდენცია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, როგორც მხარჯავი დაწესებულებების ასევე მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან, ყურადღება მიექცეს გამოყოფილი რესურსის დროულ ათვისებას, რათა არ მოხდეს საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილის წლის ბოლო თვეში დახარჯვა.

საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში, საყურადღებოა, ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები, რაც გამოიხატება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებსა და დაბალი ათვისების მქონე პროგრამების/ქვეპროგრამების არსებობაში. კერძოდ:

- ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში ადგილი აქვს თანხების მობილიზებას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე;
- გარკვეულ შემთხვევებში ადგილი აქვს პროგრამების/ქვეპროგრამების ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში ჭარბი ოდენობით რესურსის

დაგეგმვას ან/და წლის განმავლობაში აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებას სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე;

- გარკვეული პროგრამები/ქვეპროგრამები ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება. კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით, 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით 80%-ზე დაბალი ათვისება აქვს 65 პროგრამასა (პროგრამების 48.1%) და 53 ქვეპროგრამას (ქვეპროგრამების 50.0%).

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილებისას არ განახლებულა კაპიტალური პროექტების დანართი, რაც მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ანალიზს ართულებს. ამასთანავე, სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველ კანონზე თანდართულ დანართში წარმოდგენილი პროექტების განხორციელების პროცესის ანალიზისას ცალკეული კაპიტალური პროექტების შემთხვევაში იკვეთება გარკვეული შეფერხებები.

2023 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის მოცულობა 30.6 მლრდ ლარს შეადგენს, რაც 2022 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელზე 969 მლნ ლარით (3.3%-ით) მეტია. სახელმწიფო ვალის მოცულობა ბიუჯეტის კანონით დადგენილი ზღვრული მაჩვენებლის (31.3 მლრდ ლარი) 97.8%-ია.

მთავრობის ვალი 31 აგვისტოს მდგომარეობით 29.6 მლრდ ლარია და 2022 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელთან შედარებით 1.0 მლრდ ლარითაა (3.6%-ით) გაზრდილი. მათ შორის, მთავრობის საშინაო ვალი 985 მლნ ლარით, ხოლო საგარეო ვალი 46 მლნ ლარით გაიზარდა. საგარეო ვალი ახალი კრედიტების აღების შედეგად 431 მლნ ლარით გაიზარდა, რაც ნაწილობრივ დააბალანსა ეროვნული ვალუტის გამყარების შედეგად ვალის შემცირებამ 386 მლნ ლარით.

2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, საინვესტიციო პროექტების ფარგლებში განხორციელდა ჯამურად 965 მლნ ლარის ათვისება, რაც წლიური გეგმის 60.7%-ია. ათვისების აღნიშნული მაჩვენებელი 12.4 პ.პ.-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები


2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, როგორც შემოსულობების ასევე გადასახდელების გეგმა 21.9 მლრდ ლარით განისაზღვრა. წლის განმავლობაში, მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელდა ცვლილება, რის შედეგადაც შემოსულობები 22.2 მლრდ ლარამდე (257 მლნ ლარით, 1.2%-ით), ხოლო გადასახდელები 22.3 მლრდ ლარამდე (431 მლნ ლარით, 2.0%-ით) გაიზარდა. 8 თვის მდგომარეობით, ფაქტობრივად მოხილიზებულმა შემოსულობებმა 14.6 მლრდ ლარი, ხოლო გაწეულმა გადასახდელებმა 13.8 მლრდ ლარი შეადგინა.

ცხრილი 1. 8 თვის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების მაჩვენებლები (მლნ ლარი).

	2021 წლის 8 თვის ფაქტი (I)	2022 წლის 8 თვის ფაქტი (II)	2023 წლის წლიური გეგმა (საწყისი) (III)	2023 წლის წლიური გეგმა (ცვლილება) (IV)	2023 წლის 8 თვის ფაქტი (V)	2023 წლის 8 თვის შესრულება (%) (V)/(IV)
შემოსულობები	11,530	12,020	21,914	22,171	14,639	66.0%
გადასახდელები	12,862	11,826	21,880	22,311	13,816	61.9%
ნაშთის ცვლილება	-1,333	194	34	-140	823	-586.6%

2022 წლის 8 თვის მდგომარეობით, როგორც შემოსულობების, ასევე გადასახდელების შესრულების მაჩვენებელი წლიურ გეგმასთან მიმართებით გასული სამი წლის მონაცემებს აჭარბებს.¹ კერძოდ, 8 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტში მოხილიზებულ იქნა წლიური გეგმით განსაზღვრული შემოსულობების 66.0% და გადასახდელების 61.9%.

დიაგრამა 1. წლიურ გეგმასთან მიმართებით რვა თვის და წლიური შესრულების მაჩვენებლები (%).




¹ 2021 წლის 8 თვის მდგომარეობით, გეგმურ მაჩვენებელთან მიმართებით გადასახდელების შესრულების შედარებით მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია 2021 წლის აპრილში 500 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების მქონე ევროზონის დიდი თანხის დაფარვისა და პანდემიის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებზე მიმართული 1.1 მლრდ ლარის ეფექტით. ამ ტიპის გადასახდელებს ერთჯერადი ხასიათი გააჩნია. აღნიშნული ეფექტის გამორიცხვით, გადასახდელების წლიურ გეგმასთან შესრულების მაჩვენებელი 2021 წლისთვის 60.3%-ია.


შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების აღნიშნული ტენდენციების პირობებში, რვა თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 823 მლნ ლარით გაიზარდა და აგვისტოს ბოლოს 2.1 მლრდ ლარი შეადგინა.

ბიუჯეტის ნაშთის ზრდის პარალელურად ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების ნაშთის დინამიკა 2023 წლის რვა თვეში ძირითადად ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა და ამ პერიოდში 550 მლნ ლარიდან 2 მლრდ ლარამდე გაიზარდა.

დიაგრამა 2. შემოსულობების, გადასახდელებისა და ბიუჯეტის ნაშთის დინამიკა - 2023 წ. (მლნ ლარი).



დიაგრამა 3. აუქციონის გზით კომერციულ ბანკებში განთავსებული ნაშთის მოცულობა - 2023 წ. (მლნ ლარი).



გარდა მოკლევადიანი დეპოზიტებისა, მთავრობის განკარგულების საფუძველზე² ეკონომიკის გრძელვადიანი საკრედიტო რესურსით უზრუნველყოფის მიზნით, 2020 წლის ივნისსა და ივლისში, კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერთიფიკატებში განთავსდა 594.3 მლნ ლარი, რომლის ვადაც 2028 წლის იანვარში იწურება. შესაბამისად, 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, მთავრობის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების ჯამური მოცულობა 2.6 მლრდ ლარს შეადგენს.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და არაფინანსური აქტივების კლება

სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 17.6 მლრდ ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 1.2 მლრდ ლარით (7.1%-ით) აღემატება 2022 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს. 2023 წლის ოქტომბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებებით, შემოსავლების წლიური გეგმა 620 მლნ ლარით (3.5%-ით)


² მთავრობის 2020 წლის 22 მაისის N 845 განკარგულება.

გაიზარდა, რაც საგადასახადო შემოსავლების გეგმური მაჩვენებლის 420 მლნ ლარით (2.6%-ით) და სხვა შემოსავლების 200 მლნ ლარით (3.5%-ით) ზრდით არის გამოწვეული.

ცხრილი 2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 8 თვის შესრულების მაჩვენებლები (მლნ ლარი).

	2022 წლის 8 თვის ფაქტი (I)	2023 წლის წლიური გეგმა (საწყისი) (II)	2023 წლის წლიური გეგმა (ცვლილება) (III)	2023 წლის 8 თვის ფაქტი (IV)	შესრულება % (IV) / (II)	შესრულება % (IV) / (III)
საგადასახადო შემოსავლები	8,951	16,290	16,710	10,901	66.9%	65.2%
გრანტები	246	280	280	198	70.9%	70.9%
სხვა შემოსავლები	846	1,050	1,250	1,068	101.7%	85.4%
შემოსავლები	10,043	17,620	18,240	12,166	69.0%	66.7%

დიაგრამა 4. სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული შემოსავლების სტრუქტურა 8 თვის მდგომარეობით.



რვა თვის მდგომარეობით მიღებულმა შემოსავლებმა 12.2 მლრდ ლარი და წლიური გეგმის 66.7% შეადგინა (2022 წლის ანალოგიური მაჩვენებელია 61.4%). მათ შორის, საგადასახადო შემოსავლების სახით მობილიზებულ იქნა 10.9 მლრდ ლარი, რაც წლიური გეგმის 65.2%-ია.


ცხრილი 3. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების 8 თვის ფაქტობრივი მონაცემები (მლნ ლარი).

	2022 წლის 8 თვის ფაქტი (I)	2023 წლის წლიური გეგმა (საწყისი) (II)	2023 წლის წლიური გეგმა (ცვლილება) (III)	2023 წლის 8 თვის ფაქტი (IV)	შესრულება % (IV) / (II)	შესრულება % (IV) / (III)
საშემოსავლო გადასახადი	3,053	5,140	5,486	3,727	72.5%	67.9%
მოგების გადასახადი	1,393	2,000	2,000	1,395	69.8%	69.8%
დღგ	3,826	6,670	6,804	4,421	66.3%	65.0%

აქციზი	1,203	2,100	2,220	1,405	66.9%	63.3%
იმპორტის გადასახადი	76	130	150	100	76.9%	66.7%
სხვა გადასახადები	-599	250	50	-148	-59.2%	-296.0%
საგადასახადო შემოსავლები	8,951	16,290	16,710	10,901	66.9%	65.2%


2023 წლის რვა თვეში საგადასახადო შემოსავლების მობილიზების მაჩვენებელი ძირითადად წინა ორი წლის ანალოგიურია. კერძოდ, ამ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტში აკუმულირდა წლიური გეგმით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადის 67.9%, მოგების გადასახადის 69.7%, დღგ-ს 65.0%, აქციზის 63.3% და იმპორტის გადასახადის 67.0%.

დიაგრამა 5. 8 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების წილი წლის განმავლობაში ფაქტობრივად მობილიზებულ საგადასახადო შემოსავლებთან (2021-2022 წლებისთვის) და წლიურ გეგმასთან (2023 წლისთვის) მიმართებით.



2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით „ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი გადასახადების“ დაბრუნების ქვეანგარიშზე დაგროვებულმა ნაშთმა 560 მლნ ლარი შეადგინა და 47 მლნ ლარით შემცირდა წლის დასაწყისში არსებულ მოცულობასთან შედარებით. რვა თვეში ქვეანგარიშზე მიიმართა 1.4 მლრდ ლარი, ხოლო გადასახადის გადამხდელებს დაუბრუნდათ 1.5 მლრდ ლარი.

დიაგრამა 6. დაბრუნების ქვეანგარიშზე გადატანილი, ქვეანგარიშიდან გასული თანხებისა და ყოველი თვის ბოლოს არსებული ნაშთის დინამიკა (მლნ ლარი).



გრანტების სახით მობილიზებული შემოსავლების ფაქტობრივი მაჩვენებელი წლიური გეგმის 70.9%-ს შეადგენს. ამ კომპონენტში საყურადღებოა სსიპ/ა(ა)იპ-ებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მისამართი გრანტების³ დინამიკა. კერძოდ, 6 თვის მდგომარეობით სსიპ/ა(ა)იპ-ებიდან მობილიზებულმა რესურსმა 60 მლნ ლარი შეადგინა (წლიური გეგმის 60%). ასევე, 6 თვის მდგომარეობით, 9 უწყების მიერ უკვე მობილიზებულია კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსავლების წლიური გეგმის 70%-ზე მეტი. მათ შორის, 3 უწყების⁴ მიერ აკუმულირებულია წლიური გეგმის 100%-ზე მეტი (ჯამურად, 13.3 მლნ ლარით მეტი წლიურ გეგმასთან შედარებით). გარდა ამისა, 2 კვარტლის მონაცემებით, 9 უწყებამ, რომელთა მიერ საერთოდ არ ყოფილა დაგეგმილი საკუთარი შემოსავლების მობილიზება, ინდივიდუალურად მიიღო 1 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი, რაც ჯამში 38 მლნ ლარს გაუტოლდა. მოცემული ტენდენციის გათვალისწინებით, მოსალოდნელია „გრანტების“ მუხლის აღნიშნული კომპონენტის გადაჭარბებით შესრულება.

რაც შეეხება სხვა შემოსავლების შესრულებას, რვა თვეში სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართა 463 მლნ ლარის მოცულობის დივიდენდი, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის საწყისი კანონით განსაზღვრული წლიური გეგმის 132.4%-ს და მოქმედი კანონის - 100%-ს შეადგენს. აქედან 462.8 მლნ ლარი საქართველოს ეროვნული ბანკის მოგებიდან მიღებული დივიდენდია.

პროცენტის სახით რვა თვეში მობილიზებული იქნა 221 მლნ ლარის შემოსავალი, რაც წლიური გეგმის 83.1%-ია. აღნიშნული ტენდენციის გათვალისწინებით, მოსალოდნელია საპროცენტო

³ სსიპ-ები, რომელთა წლიური შემოსავალი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების გარდა აღემატება 1 მლნ ლარს, საკუთარი შემოსავლის არანაკლებ 10%-ის მიმართავენ სახელმწიფო ბიუჯეტში.

⁴ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (წლიური გეგმა - 26.4 მლნ ლარი, 6 თვის ფაქტი - 31 მლნ ლარი);

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (წლიური გეგმა - 12 მლნ ლარი, 6 თვის ფაქტი - 13.8 მლნ ლარი);

სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო (წლიური გეგმა 97 მლნ ლარი, 6 თვის ფაქტი - 104 მლნ ლარი).

შემოსავლების სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელზე გადაჭარბებით შესრულება.

აღსანიშნავია, რომ 8 თვის მდგომარეობით გეგმიდან ჩამორჩენით ხასიათდება არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობების მაჩვენებელი. კერძოდ, ამ კომპონენტში მობილიზებულია 72 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის (200 მლნ ლარი) 36.2%-ია. ამ მუხლის დაგეგმვის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზე აღინიშნა 2021 და 2022 წლების „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებში.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები


2023 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ფაქტობრივმა ოდენობამ 13.8 მლრდ ლარი შეადგინა და კანონით განსაზღვრული თავდაპირველი გეგმის 63.1%-ს, ხოლო კანონის ცვლილებით დაკორექტირებული გეგმის 61.9%-ს გაუტოლდა. 2021-2022 წლების ანალოგიური მაჩვენებლები, შესაბამისად, 66.0% და 60.1%-ია.⁵

ცხრილი 4. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (მლნ ლარი).

	2021 წლის 8 თვის ფაქტი (I)	2022 წლის 8 თვის ფაქტი (II)	2023 წლის წლიური გეგმა (საწყისი) (III)	2023 წლის წლიური გეგმა (ცვლილება) (IV)	2023 წლის 8 თვის ფაქტი (V)	(V / III) (%)	(V / IV) (%)
ხარჯები	8,841	9,421	16,335	16,900	10,770	65.9%	63.7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,415	1,639	3,881	3,956	2,182	56.2%	55.2%
ფინანსური აქტივების ზრდა	222	116	445	337	162	36.3%	47.9%
ვალდებულებების კლება	2,384	651	1,219	1,119	702	57.6%	62.8%
გადასახდელები	12,862	11,826	21,880	22,311	13,816	63.1%	61.9%


⁵ 2021 წლის 8 თვის მდგომარეობით, გეგმურ მაჩვენებელთან მიმართებით გადასახდელების შესრულების შედარებით მაღალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია 2021 წლის აპრილში 500 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების მქონე ევროობლიგაციის ძირი თანხის დაფარვისა და პანდემიის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებზე მიმართული 1.1 მლრდ ლარის ეფექტით. ამ ტიპის გადასახდელებს ერთჯერადი ხასიათი გააჩნია. აღნიშნული ეფექტის გამორიცხვით, გადასახდელების წლიურ გეგმასთან შესრულების მაჩვენებელი 2021 წლის რვა თვის მდგომარეობით 60.3%-ია.

დიაგრამა 7. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებისა და მისი ცალკეული კომპონენტების 8 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით - 2019-2023 წწ. (%)⁶



გასულ წლებთან შედარებით, 2023 წლის რვა თვის მდგომარეობით, გადასახდელების თანაბარზომიერი ათვისების ტენდენცია გაუმჯობესებულია. კერძოდ, ამ პერიოდში გაწეული გადასახდელების საშუალოთვიური ათვისების მაჩვენებელი 1.7 მლრდ ლარია. იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გადასახდელების წლიური გეგმა (22.3 მლრდ ლარი) სრულად შესრულდება, წლის ბოლო ოთხი თვის გადასახდელების საშუალოთვიური მაჩვენებელი 2.1 მლრდ ლარს გაუტოლდება, რაც ფისკალური წლის პირველი რვა თვის ფაქტობრივი გადასახდელების საშუალო მაჩვენებელს 23.0%-ით აღემატება.⁷


დიაგრამა 8. გადასახდელებისა და მისი კომპონენტების ყოველთვიური დინამიკა - 2021-2023 წწ. (მლნ ლარი).⁸



⁶ 2021 წელს „ვალდებულებების კლების“ მუხლის მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია 2021 წლის აპრილში 500 მლნ აშშ დოლარის (1.7 მლრდ ლარი) ნომინალური ღირებულების ევროობლიგაციების დაფარვის ეფექტით.

⁷ 2020 წელს აღნიშნული მაჩვენებელი - 32.8%-ს, 2021 წელს 19.0%-ს, ხოლო 2022 წელს - 32.8%-ს შეადგენდა (2021 წლის მონაცემი წარმოდგენილია ევროობლიგაციების დაფარვის ეფექტის გამორიცხვით).

⁸ 2021 წლის აპრილში გადასახდელების მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია აღნიშნულ თვეში 500 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების მქონე ევროობლიგაციების დაფარვით.



თანაბარზომიერები ათვისების ტენდენციის გაუმჯობესებას წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი „ხარჯების“ მუხლის დინამიკამ, რომლის წლის ბოლო ოთხ თვეში მოსალოდნელი საშუალოთვიური მაჩვენებელი, პირველი რვა თვის საშუალოთვიურ მაჩვენებელს 13.8%-ით აღემატება, თუმცა მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (2022 წელს 21.1%).

ხარჯების არსებული დინამიკის მიუხედავად, ამ მხრივ გამოწვევები კვლავ არსებობს. განსაკუთრებით, არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებში, რომელთა მოსალოდნელი საშუალოთვიური შესრულების დინამიკა წლის დარჩენილ ოთხ თვეში გასული რვა თვის საშუალოთვიურ მაჩვენებელს, შესაბამისად, 62.6%-ითა და 117.2%-ით აღემატება.

გადასახდელების აღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, როგორც მხარჯავი დაწესებულებების ასევე მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან, ფისკალური წლის დარჩენილ პერიოდში ყურადღება მიექცეს გამოყოფილი რესურსის დროულ ათვისებას, რათა არ მოხდეს საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილის წლის ბოლო თვეში დახარჯვა.

3.1. საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში ვლინდება ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში არსებული ნაკლოვანებები, რაც გამოიხატება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებისა და დაბალი ათვისების მქონე პროგრამების/ქვეპროგრამების არსებობაში.

□ ბიუჯეტის დაგეგმვა და დაზუსტება


საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხშირად ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ასიგნებების გადანაწილება, განსაკუთრებით ქვეპროგრამებისა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების დონეზე. აღნიშნული წარმოშობს ცალკეული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების დეფიციტისა და დასახული მიზნების მიღწევასთან დაკავშირებულ რისკებს (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 1-ში). კერძოდ:

- რიგ შემთხვევებში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წლის განმავლობაში ადგილი აქვს რესურსების მობილიზებას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზევე გათვალისწინება;
- ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში, ადგილი აქვს პროგრამების/ქვეპროგრამების ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში ჭარბი ოდენობით რესურსის დაგეგმვას ან/და წლის განმავლობაში აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებას სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე.

□ ბიუჯეტის შესრულება

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით (საბოლოო) განსაზღვრული პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების ათვისების საშუალო მაჩვენებელმა 8 თვის მდგომარეობით წლიური გეგმის 62.2%, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 75.9% შეადგინა.⁹ 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით 80%-ზე დაბალი ათვისებით ხასიათდება 65 პროგრამა¹⁰ (პროგრამების 48.1%) და 53 ქვეპროგრამა (ქვეპროგრამების 50.0%) (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 2-ში).

დიაგრამა 9. პროგრამების/ქვეპროგრამების განაწილება 8 თვის ათვისების მაჩვენებლის მიხედვით 9 თვის დაზუსტებულ გეგმებთან - 2023 წ.



⁹ მაჩვენებელი არ მოიცავს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს. გარდა ამისა გადასახდელები არ მოიცავს მიზნობრივ გრანტებს, რადგან მათ არ გააჩნიათ გეგმური მაჩვენებელი და აისახებიან მხოლოდ ფაქტობრივად გაწეულ გადასახდელებში (საკასო ხარჯში).

¹⁰ პროგრამების/ქვეპროგრამების რაოდენობა წარმოდგენილია „2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის“ მე-6 თავის მიხედვით.

საყურადღებოა, რომ 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებისას არ განახლებულა კაპიტალური პროექტების დანართი, რაც მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ანალიზს ართულებს. ამასთანავე, სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველ კანონზე თანდართულ დანართში წარმოდგენილი კაპიტალური პროექტების განხორციელების პროცესის ანალიზისას იკვეთება გარკვეული შეფერხებები. შესაბამისი განმახორციელებელი უწყებების განმარტებით, აღნიშნული შეფერხებები ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით (*დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართ 3-ში*):

- კონტრაქტორი ორგანიზაციის მხრიდან პროექტების შესრულების პროცესის შეფერხება ან/და სახელშეკრულებო თანხის ცვლილების მოთხოვნა;¹¹
- პროექტში განხორციელებული ცვლილებები და ნებართვების მოპოვების გაჭიანურება;¹²
- დონორთან მოლაპარაკების პროცესის გაჭიანურება.¹³

ზემოაღნიშნული გარემოებების მიუხედავად, საყურადღებოა, რომ პროექტების ნაწილი გასულ წელსაც დაბალი ათვისებით ხასიათდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამების/პროექტების განხორციელების შეფერხებები შესაძლოა გამოწვეული იყოს ობიექტური გარემოებებით, მნიშვნელოვანია, განმახორციელებელი ორგანიზაციების მხრიდან ყურადღება მიექცეს პროექტების მართვის პროცესში პოტენციური შემაფერხებელი ფაქტორების დროულ იდენტიფიცირებას და მათ გათვალისწინებას.

3.2. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების გეგმური მაჩვენებელი 17.6 მლნ ლარით შემცირდა და 3.97 მლნ ლარს გაუტოლდა. ცვლილება ძირითადად შეეხო დონორების მიერ დაფინანსებულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს, რომლის გეგმაც 139.6 მლნ ლარით შემცირდა. აღნიშნული გამოწვეულია 6 პროექტის დაფინანსების შემცირებით,¹⁴ მათ შორის, 34 მლნ ლარით შემცირდა „თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II)“ (55 13 09) ბიუჯეტი და 24.5 მლნ ლარით შემცირდა „მდგრადი ურბანული მობილობის“ (55 13 07) დაფინანსება. ასევე, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვისთვის გათვალისწინებული თანხის მოცულობა 100 მლნ ლარით შემცირდა, ხოლო რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსება 100 მლნ ლარით გაიზარდა.


¹¹ პროგრამული კოდები: 24 14 01 02; 24 14 01 06; 25 02 02 08; 25 02 02 10; 25 02 03 01; 25 02 03 11; 25 07 01 03

¹² პროგრამული კოდები: 24 14 01 05; 24 14 01 04; 25 02 03 04

¹³ პროგრამული კოდები: 25 07 01 04 01; 25 07 01 04 02

¹⁴ თბილისის მყარი ნარჩენების მართვა (55 13 03) - შემცირდა 23 მლნ ლარით; აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, საქართველო (EU, KfW) (55 13 04) - შემცირდა 4 მლნ ლარით; საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (55 13 05) - შემცირდა 13 მლნ ლარით; მდგრადი ურბანული მობილობა (KfW) (55 13 07) - შემცირდა 24.5 მლნ ლარით; საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დახმარებისა და აღდგენის პროექტი (საქართველოს ეროვნული ბანკის კომპონენტი) (WB) (55 13 08) - შემცირდა 2.7 მლნ ლარით; თბილისის ავტობუსების პროექტი (ფაზა II) (EBRD) (55 13 09) - შემცირდა 34 მლნ ლარით.

დიაგრამა 10. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ზოგიერთი კომპონენტის შესრულება 8 თვის მდგომარეობით წლიურ გეგმასთან მიმართებით - 2023 წ.



2023 წლის რვა თვის მდგომარეობით, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან ათვისებულია 2.4 მლრდ ლარი, რაც წლიური გეგმის 60%-ია.

- **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის** ათვისების მაჩვენებელი, 8 თვის მდგომარეობით, გაზრდილია 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. კერძოდ, ფონდიდან გადარიცხულია 234 მლნ ლარი, რაც 9 თვის გეგმის 71%-ს¹⁵ (2022 წელს 60%), ხოლო წლიური გეგმის 47%-ს შეადგენს (2022 წელს 38%). აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილებით, გასული წლის მსგავსად, თანხის უდიდესი ნაწილის ათვისება (266 მლნ ლარი) დაგეგმილია წლის ბოლო 4 თვეში;
- **მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის** ათვისების პროცენტული მაჩვენებელიც გაზრდილია გასულ წელთან შედარებით. კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით გადარიცხულია 7 მლნ ლარი, რაც 9 თვის გეგმის 54% (2022 წელს 50%), ხოლო წლიური გეგმის 35%-ია (2022 წელს 25%).

¹⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 31 აგვისტოს N320 ბრძანება „საქართველოს 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 29 დეკემბრის N437 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

4. სახელმწიფო და მთავრობის ვალი

2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით სახელმწიფო ვალის მოცულობა 30.6 მლრდ ლარს შეადგენს, რაც 2022 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელზე 969 მლნ ლარით (3.3%-ით) მეტია. სახელმწიფო ვალი ეროვნული ვალუტის გამყარების შედეგად 416 მლნ ლარით შემცირდა. ამასთანავე, აღნიშნული ეფექტი ნაწილობრივ დააბალანსა ვალის წმინდა ზრდამ 1.5 მლრდ ლარის ოდენობით. სახელმწიფო ვალის არსებული მოცულობა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილებით დადგენილი ზღვრული მაჩვენებლის (31.3 მლრდ ლარი) 97.8%-ია.

რაც შეეხება მთავრობის ვალს,¹⁶ 31 აგვისტოს მდგომარეობით მისი მოცულობა 29.6 მლრდ ლარს შეადგენს და 2022 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელთან შედარებით 1.0 მლრდ ლარითაა (3.6%-ით) გაზრდილი. მათ შორის, მთავრობის საშინაო ვალი 985 მლნ ლარით, ხოლო საგარეო ვალი 46 მლნ ლარით გაიზარდა. მთავრობის საგარეო ვალი ახალი კრედიტების აღების შედეგად 431 მლნ ლარით გაიზარდა, რაც ნაწილობრივ დააბალანსა ეროვნული ვალუტის გამყარების შედეგად ვალის შემცირებამ 386 მლნ ლარით.


ცხრილი 5. მთავრობის ვალის სტრუქტურა 2023 წლის 8 თვის მდგომარეობით (მლნ ლარი).

	2022 წლის ნაშთი	2023 წლის ბიუჯეტის კანონი (საწყისი)	2023 წლის ბიუჯეტის კანონი (ცვლილება)	2023 წლის 8 თვის ნაშთი	8 თვის ნაშთის წილი მშპ- ში ¹⁷
მთავრობის საგარეო ვალი	21,392	22,085	21,837	21,437	27.2%
მრავალმხრივი კრედიტორები	15,713	16,382	16,339	15,945	
ორმხრივი კრედიტორები	4,325	4,345	4,184	4,177	
ევრო-ობლიგაციები	1,351	1,354	1,315	1,315	
გარანტირებული კრედიტები	3	3	-	-	
მთავრობის საშინაო ვალი	7,195	8,454	8,454	8,181	10.4%
სახაზინო ფასიანი ქაღალდები	6,832	8,186	8,186	7,845	
სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	273	233	233	251	
საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალი	90	35	35	85	
მთავრობის ვალი	28,587	30,539	30,291	29,618	37.6%


¹⁶ „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზნებისთვის, მთავრობის ვალი მოიცავს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო ვალს, IMF-ის მიმართ ეროვნული ბანკის ვალის გამოკლებით და დამატებით მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხების სახით არსებულ ვალდებულებებს.

¹⁷ მშპ-ს შემთხვევაში აღებულია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე (ცვლილება) თანდართული BDD დოკუმენტით განსაზღვრული 2023 წლის ნომინალური მშპ-ს პროგნოზი.

დიაგრამა 11. მთავრობის საგარეო ვალის მოცულობის ცვლილებაში ლარის გაცვლითი კურსისა და ახალი სესხების აღების ეფექტი ვალუტების მიხედვით - 2023 წლის 8 თვეში (მლნ ლარი).




დიაგრამა 12. მთავრობის საგარეო ვალის მოცულობის ცვლილებაში ლარის გაცვლითი კურსისა და ახალი სესხების აღების ეფექტების დინამიკა (მლნ ლარი).




2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, მთავრობის საგარეო ვალის პორტფელი 5 სხვადასხვა ვალუტაში აღებული სესხისგან შედგება. აქედან ძირითად ნაწილს ევროში (59%), დოლარსა (23%) და SDR-ში¹⁸ (16%) დენომინირებული სესხები შეადგენს.

დიაგრამა 13. მთავრობის საგარეო ვალის სტრუქტურის დინამიკა სავალუტო ჭრილში.



დიაგრამა 14. წლის ბოლოს დაფიქსირებული ლარის გაცვლითი კურსის %-ული ცვლილება.



¹⁸ SDR - წარმოადგენს საერთაშორისო სარეზერვო აქტივს, რომლის ღირებულებაც ემყარება 5 ვალუტას: აშშ დოლარს, ევროს, ჩინურ იუანს, იაპონურ იენს და დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგს.

4.1. საგარეო წყაროებიდან მიღებული კრედიტები


2023 წლის 8 თვის მდგომარეობით, კრედიტების სახით საგარეო წყაროებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მოხილზდა 1.2 მლრდ ლარი, რაც წლიური გეგმის 62.5%-ია. მიღებული კრედიტების 82.1% (965 მლნ ლარი) საინვესტიციოა, ხოლო 17.9% (211 მლნ ლარი) - ბიუჯეტის მხარდამჭერი. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის მხარდამჭერ კრედიტებს, საინვესტიციო კრედიტებისგან განსხვავებით, წინასწარ განსაზღვრული მიზნობრიობა ძირითად შემთხვევაში არ გააჩნია და ბიუჯეტის მიმდინარე საჭიროებების დაფინანსებას ემსახურება.

ცხრილი 6. 2023 წლის რვა თვის მდგომარეობით საგარეო კრედიტების სახით მიღებული შემოსულობები (მლნ ლარი).

	2023 წლის ბიუჯეტის კანონი (საწყისი) (1)	2023 წლის ბიუჯეტის კანონი (ცვლილება) (2)	2022 წლის 8 თვის ფაქტი (3)	შესრულება (%) (3)/(2)
საგარეო კრედიტები	2,244	1,881	1,176	62.5%
საინვესტიციო	1,844	1,591	965	60.7%
ბიუჯეტის მხარდამჭერი	400	290	211	72.7%

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, 1.8 მლრდ ლარის მოცულობის საინვესტიციო კრედიტით დაიგეგმა 52 საინვესტიციო პროექტის დაფინანსება. კანონში განხორციელებული ცვლილებით, დაფინანსების გეგმური მაჩვენებელი 1.6 მლრდ ლარამდე შემცირდა, დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა კი 54-მდე გაიზარდა.¹⁹ გარდა გეგმით გათვალისწინებული პროექტებისა, 8 თვის მდგომარეობით, ნულოვანი გეგმის მქონე სამი საინვესტიციო პროექტის ფარგლებში²⁰ დაიხარჯა ჯამურად 1.6 მლნ ლარი.

დიაგრამა 15. საინვესტიციო პროექტებზე გამოყოფილი დაფინანსების ათვისების ტენდენცია (მლნ ლარი).



¹⁹ დაემატა სამი პროექტი: საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (WB) (26 10; 31 06 04); ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა (ფაზა V) (KfW) (55 13 15); თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი (EBRD) (55 13 14); ხოლო ერთი პროექტი შეჩერდა - თბილისის მეტროს პროექტი (EBRD) (55 13 06).

²⁰ 500 კვ ეგზ-ის „ქსანი-სტეფანწმინდა“ მშენებლობა (EBRD, EU, KfW) (24 14 03 01); მდინარე დებედაზე ხიდის მშენებლობა (EBRD) (25 02 02 12); COVID-19-ის ვაქცინის მხარდამჭერი პროექტი აზია-წყნარი ოკეანეთის ვაქცინის ხელმისაწვდომობის ფარგლებში (APVAX) (27 03 03 10 03).

2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, საინვესტიციო პროექტების ფარგლებში განხორციელდა ჯამურად 965 მლნ ლარის ათვისება, რაც წლიური გეგმის 60.7%-ია. ათვისების აღნიშნული მაჩვენებელი 12.4 პ.პ.-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

4.2. საშინაო წყაროებიდან მობილიზებული საკრედიტო რესურსი

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2023 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონის მეშვეობით განხორციელდა 2.0 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებებისა და ობლიგაციების ემისია, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზდა 2.1 მლრდ ლარი, მათ შორის 103.6 მლნ ლარი პრემიუმის სახით.

ცხრილი 7. სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების ემისია - 2023 წლის 8 თვე (მლნ ლარი).²¹

	ემისიის მოცულობა ნომინალური ღირებულებით	დისკონტი	პრემიუმი	ფაქტობრივი შემოსულობა სახელმწიფო ბიუჯეტში (ძირი თანხა)
6-თვიანი სახაზინო ვალდებულებები	160	7.3		153
12-თვიანი სახაზინო ვალდებულებები	160	13.9		146
5-წლიანი სახაზინო ობლიგაციები	341	0.7	7.2	348
10-წლიანი სახაზინო ობლიგაციები	1,257		96.4	1,354
11-წლიანი სახაზინო ობლიგაციები	50	0.1	0.03	50
სულ ემისია	1,968	21.9	103.6	2,050

4.3. მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები

2023 წლის 8 თვის მდგომარეობით, მთავრობის ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე მიიძღრათა 2.7 მლრდ ლარი, რაც წლიური გეგმის 66.1%-ია.

ცხრილი 8. მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები (მლნ ლარი).

	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ბიუჯეტის კანონის (ცვლილება) ²²	2023 წლის 8 თვის ფაქტი	შესრულება %
მთავრობის საგარეო ვალის მომსახურება და დაფარვა	1,207	1,596	1,059	66.3%
ძირი	971	1,070	698	65.2%

²¹ სხვაობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჯამურ მაჩვენებელსა და მისი შემადგენელი კომპონენტების ჯამს შორის გამოწვეულია მათემატიკური დამრგვალებით.

²² არ მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების ვალის მომსახურების და დაფარვის 2023 წლის პროგნოზებს.

პროცენტი	236	526	361	68.6%
მთავრობის საშინაო ვალის მომსახურება და დაფარვა	2,050	2,415	1,594	66.0%
ძირი	1,533	1,740	1,066	61.3%
პროცენტი	517	675	528	78.2%
სულ მთავრობის ვალის მომსახურება და დაფარვა	3,257	4,011	2,653	66.1%

2023 წელს მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვისათვის გაწეული ხარჯების უდიდესი ნაწილი (60.1%) საშინაო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯებზე მოდის. კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით, საშინაო ვალის ძირი თანხის დაფარვის მაჩვენებელმა 1.1 მლრდ, ხოლო საპროცენტო ხარჯმა 528 მლნ ლარი შეადგინა.

დანართი 1. ბიუჯეტის დაგეგმვა და დაზუსტება - მაგალითები

1. წლის განმავლობაში, ასიგნებებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ადგილი აქვს თანხების მიმართვას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება.
• <i>იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის</i> (26 01 01) „საქონელი და მომსახურების“ მუხლით სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი ასიგნებების ოდენობამ 4.5 მლნ ლარი შეადგინა, რომელიც 8 თვის განმავლობაში დაზუსტდა და 5.5 მლნ ლარამდე გაიზარდა. ცვლილება განპირობებულია არასაკმარისი რესურსით. კერძოდ, დაგეგმვის ეტაპზე ვერ მოხერხდა ასიგნებების განსაზღვრა რეალური საჭიროებების მიხედვით, რამაც გამოიწვია ზოგიერთი მუხლის/პროექტის დეფიციტურად დაგეგმვა. • <i>თავდაცვის სამინისტროს ქვეპროგრამის „სოციალური უზრუნველყოფა“</i> (29 03 02) „სხვა ხარჯების“ მუხლიდან ხორციელდება სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დაფინანსება. 2023 წელს, წინა წლისგან განსხვავებით, აღნიშნულ მუხლში თანხა დაგეგმილი არ ყოფილა. წლის დასაწყისშივე, იანვრის თვეში, ამავე ქვეპროგრამის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან განხორციელდა 1.7 მლნ ლარის გადანაწილება. • <i>შინაგან საქმეთა სამინისტროს პროგრამის „სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა“</i> (30 06) სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა გეგმამ 102.6 მლნ ლარი შეადგინა. 8 თვის განმავლობაში ამ პროგრამაზე დამატებითი მობილიზდა 12.7 მლნ ლარი, მათ შორის 4.0 მლნ ლარი „საქონელი და მომსახურების“ მუხლზე, შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, კომუნალური ხარჯების დაფარვის, ასევე სხვადასხვა მიმდინარე და სამშენებლო ხარჯების დაფინანსებისთვის.
2. ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში, ადგილი აქვს პროგრამების/ქვეპროგრამების ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში ჭარბი ოდენობით რესურსის დაგეგმვას ან/და წლის განმავლობაში აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებას სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე.
• <i>შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეპროგრამიდან „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი“</i> (31 01 01) 8 თვის განმავლობაში 44.5 მლნ ლარი გადანაწილდა სამინისტროს სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე. აღნიშნული ქვეპროგრამიდან თანხების გადანაწილებას სისტემატური ხასიათი გააჩნია, რაც ჭარბი ოდენობით რესურსის დაგეგმვაზე მიუთითებს; • <i>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამის „სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა“</i> (31 05 17) დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით 10 მლნ ლარით განისაზღვრა. 8 თვის განმავლობაში ამ ქვეპროგრამიდან გადანაწილდა 5.2 მლნ ლარი. ანალოგიურად, სამინისტროს სხვადასხვა ღონისძიებებზე 3 მლნ ლარი გადანაწილდა „მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა“ (31 02 04) ქვეპროგრამიდან, რომლის დამტკიცებული გეგმა 8 მლნ ლარს შეადგენდა. აღნიშნული ქვეპროგრამებიდან თანხების გადანაწილება ხორციელდებოდა წინა წლებშიც, რაც ჭარბი ოდენობით რესურსის დაგეგმვაზე მიუთითებს.

დანართი 2. დაბალი ათვისების მქონე პროგრამები - მაგალითები

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით (ცვლილება) დამტკიცებულ წლიურ გეგმასთან მიმართებით დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის მაჩვენებლები - 2023 წ. (ათასი ლარი; %)²³

დასახელება	ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული წლიური გეგმა (I)	9 თვის დაზუსტებული გეგმა (II)	8 თვის ფაქტი (III)	(III)/(II)	(III)/(I)
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო					
შემოსავლების მოზილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (23 02)	30,240	9,782	1,861	19.0%	6.2%
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო					
ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (24 01)	20,300	13,671	8,176	59.8%	40.3%
ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ღონისძიებები (24 04)	1,800	1,352	725	53.6%	40.3%
მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა (24 07 02)	263,500	189,130	129,688	68.6%	49.2%
საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (24 08)	75,260	49,750	26,878	54.0%	35.7%
ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება (24 10)	10,000	6,375	2,710	42.5%	27.1%
ტექნიკური დახმარების პროექტი საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რეფორმის პროგრამის (GESRP) მხარდასაჭერად (EU-NIF, KfW) (24 13)	4,000	3,000	1,229	41.0%	30.7%
სივრცითი და ქალაქთშენებლობითი განვითარება (24 20)	7,000	4,581	1,411	30.8%	20.2%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო					
დანაშაულის პრევენცია, პრობაციის სისტემის განვითარება და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია (26 06)	13,500	10,282	7,124	69.3%	52.8%
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო					
დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მართვა (27 01 08)	1,510	1,096	745	68.0%	49.3%
დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (27 03 02 01)	2,900	2,180	1,482	68.0%	51.1%
ეპიდზედამხედველობა (27 03 02 03)	2,745	1,045	722	69.0%	26.3%

²³ ფაქტობრივი დანახარჯები არ მოიცავს მიზნობრივი გრანტების კომპონენტში გაწეულ დანახარჯებს.

ჯანმრთელობის ხელშეწყობა (27 03 02 10)	2,100	900	344	38.2%	16.4%
C პეპატიტის მართვა (27 03 02 11)	5,000	2,600	1,764	67.9%	35.3%
დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (27 03 03 04)	56,000	28,533	19,010	66.6%	33.9%
დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (27 03 04)	500	320	31	9.8%	6.3%
სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (27 04)	99,800	59,458	15,307	25.7%	15.3%
საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა (27 06 05)	1,100	695	254	36.6%	23.1%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო					
მევენახეობა-მელვინეობის განვითარება (31 03)	67,400	24,881	8,055	32.4%	12.0%
ქართული ჩაი (31 05 05)	1,000	508	167	33.0%	16.7%
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურული განვითარება (31 05 09)	5,000	3,000	868	28.9%	17.4%
იმერეთის აგროზონა (31 05 12)	4,000	2,000	1,000	50.0%	25.0%
ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა (31 05 13)	500	300	57	19.1%	11.5%
ლიდერპროგრამა (31 05 16)	1,000	305	0	0.0%	0.0%
სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა (31 05 17)	10,000	2,047	771	37.7%	7.7%
გარემოს დაცვის სფეროში პროგნოზირება, შეფასება, პრევენცია და მონიტორინგი (31 13)	8,000	5,573	2,440	43.8%	30.5%
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო					
საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობა (32 04 04)	7,180	5,281	3,651	69.1%	50.8%
მეცნიერების პოპულარიზაცია (32 05 05)	1,500	141	44	31.4%	2.9%
ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB) (32 08)	14,400	11,380	5,053	44.4%	35.1%
პროფესიული განათლება I (KfW) (32 09)	15,000	5,925	890	15.0%	5.9%
თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის - პროექტი (ADB) (32 10)	8,400	7,820	1,236	15.8%	14.7%
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო					
ინფრასტრუქტურის განვითარება (33 03)	49,049	32,643	19,073	58.4%	38.9%
სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა (33 04)	12,108	6,673	4,517	67.7%	37.3%

1. გარკვეული პროგრამები/ქვეპროგრამები ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებიან 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით.

- *ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამის „სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარება“ (24 20) ფარგლებში 8 თვის მდგომარეობით ათვისებულია 1.4 მლნ ლარი, რაც წლიური დამტკიცებული გეგმის 20.2%-ს, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 30.8%-ს შეადგენს. სამინისტროს განმარტებით, დაბალი ათვისება გამოწვეულია ტერიტორიების მოკვლევის სამუშაოების მოცულობით, რომელიც მოიცავს მრავალდარგობრივი საკითხების ანალიზს, მათ შორის, ტერიტორიების მოკვლევას, პირველადი კვლევების ჩატარებას, კონკურსის გამოცხადებას და ა.შ. აღნიშნული სამუშაოები ცნობილი იყო ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზეც და შესაძლებელი იყო მათი გათვალისწინება.*
- *ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ქვეპროგრამაზე „C ჰეპატიტის მართვა“ (27 03 02 11) სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა გეგმამ 5 მლნ ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ 2.6 მლნ ლარი, ხოლო 8 თვის ფაქტობრივმა ხარჯმა 1.8 მლნ ლარი (წლიური გეგმის 35.3%) შეადგინა. სამინისტროს განმარტებით, აუთვისებლობის ძირითადი მიზეზი სკრინინგულ სერვისებზე მოსახლეობის დაბალი მომართვიანობაა. საყურადღებოა, რომ ანალოგიური მიზეზით აღნიშნული ქვეპროგრამის ათვისების მაჩვენებელი დაბალი იყო გასულ წლებშიც.*

ანალოგიურად, გასული წლების მსგავსად დაბალი ათვისებით ხასიათდება „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა“ (27 04 01) ქვეპროგრამა, რომლის ათვისების მაჩვენებელმა წლიური გეგმის 6.5%, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 10.2% შეადგინა.
- *გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამის „იმერეთის აგროზონა“ (31 05 12) წლიური დამტკიცებული გეგმა 4 მლნ ლარს, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმა 2 მლნ ლარს შეადგენს. საყურადღებოა, რომ წინა წლების მსგავსად, 2023 წლის 8 თვის მდგომარეობით აღნიშნული ქვეპროგრამა დაბალი ათვისებით ხასიათდება (ათვისებულია წლიური გეგმის 25%, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 50%).*

დანართი 3. კაპიტალური პროექტების ათვისების მდგომარეობა - მაგალითები

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით (31.08.2023-ის განწერით განსაზღვრულ) დამტკიცებულ წლიურ²⁴ და 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით 2023 წლის 8 თვის მდგომარეობით დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი კაპიტალური პროექტი - 2023 წ. (ათასი ლარი; %).

დასახელება	2023 წელს დამტკიცებ ული გეგმა (საწყისი)	9 თვის დაზუსტ ებული გეგმა	8 თვის ფაქტი	ათვისება წლიურ დამტკიცებუ ლ გეგმასთან	ათვისება 9 თვის დაზუსტებუ ლ გეგმასთან
ჩრდილოეთის რგოლი (EBRD), ნამახვანი - წყალტუბო - ლაჯანური (EBRD, KfW) (24 14 01 02)	10,000	7,000	-	0%	0%
გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტუ- რის გაძლიერება (KfW) (24 14 01 04)	20,000	18,000	11,118	56%	62%
კახეთის ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) (24 14 01 05)	5,000	3,500	1,052	21%	30%
ხელედულა-ლაჯანური-ონი (KfW)(24 14 01 06)	10,000	7,000	2,000	20%	29%
ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსად- გურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU) (24 19)	15,000	12,500	3,433	23%	27%
ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (25 02 02 08)	60,000	27,405	17,451	29%	64%
ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (Kuwait Fund) (25 02 02 10)	40,000	24,475	8,668	22%	35%
აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი (ზემო ოსიური-რიკოთი) (EIB, WB) (25 02 03 01)	70,000	26,250	19,704	28%	75%
თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (EIB, WB) (25 02 03 04)	80,000	52,195	17,514	22%	34%
მდინარე რიონზე ფოთის ხიდის მშენებლობა (ADB) (25 02 03 11)	25,000	14,485	1,604	6%	11%
2025 წლის ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მხარდაჭერი ღონისძიებები (25 03 07)	25,000	15,000	-	0%	0%
ურბანული ტრანსპორტის განვითარების პროგრამა (EBRD) (25 03 08)	400	275	153	38%	56%
იმერეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში კომუნალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (KfW) (25 04 03)	47,700	11,655	3,312	7%	28%

²⁴ 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროცესში არ განახლებულა კაპიტალური პროექტების დანართი. შესაბამისად, წლიური გეგმების შესახებ მონაცემები ეყრდნობა 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის თავდაპირველ ვერსიაზე თანდართულ კაპიტალური პროექტების დანართს.

ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB) (25 07 01 03)	60,000	10,481	6,184	10%	59%
შენიშვნაში მწვანე ინვესტიციების პროექტი (EBRD, KfW) (25 07 01 04 01)	2,000	700	-	0%	0%
ენერგოეფექტურობის ღია პროგრამა (საჯარო შენიშვნაში ენერგოეფექტურობის პროგრამა) (EBRD, KfW) (25 07 01 04 02)	1,500	699	-	0%	0%
საქართველოს მთიან რეგიონებში საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება (E5P, NEFCO) (25 07 01 05)	500	400	-	0%	0%
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია (25 07 02)	100,000	52,000	33,511	34%	64%
ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (25 08)	200,000	44,492	21	0.01%	0.05%
სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (27 04 01)	40,000	11,913	2,499	6%	21%
აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი (EBRD, SIDA) (55 13 01)	6,000	6,000	-	0%	0%
თბილისის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD) (55 13 03 01)	12,000	2,400	-	0%	0%
აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, საქართველო (EU, KfW) (55 13 04)	35,000	8,750	897	3%	10%
საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (ADB) (55 13 05 01 01)	10,500	7,870	1,262	12%	16%
საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (ADB) (55 13 05 02 01)	10,000	4,905	67	1%	1%